ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1167

ქ. ბათუმი, 27 სექტემბერი 2019 წ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა განმეორებითი კონკურსის N30 და N56 სამარშრუტო ხაზებზე ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ[1]“ ქვეპუნქტების, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26[2]-ე მუხლის, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N50 დადგენილების, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს N22 დადგენილების, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს N68 განკარგულების და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 27 აგვისტოს N1037 ბრძანების

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა განმეორებითი კონკურსი M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს N22 დადგენილებით დამტიცებული დანართი 1-ის შესაბამისად განსაზღვრულ N30 და N56 სამარშრუტო ხაზებზე.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა განმეორებითი კონკურსის

ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები განისაზღვროს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 27 აგვისტოს N1037 ბრძანების შესაბამისად.

3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა განმეორებითი კონკურსის ჩატარებისა და მასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების განხორციელება დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 27 აგვისტოს N1037 ბრძანების შესაბამისად შექმნილ საკონკურსო კომისიას იგივე წესებითა და პირობებით.

4. დაევალოს კომისიას „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N50 დადგენილებით, წინამდებარე ბრძანებით და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 27 აგვისტოს N1037 ბრძანებით დამტკიცებული დანართის 2-ის შესაბამისად უზრუნველყოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა განმეორებითი კონკურსის ჩატარება N30 და N56 სამარშრუტო ხაზებზე, გამარჯვებულის გამოვლენა და კომისიის შედეგების წარდგენა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის გამარჯვებულზე ნებართვის გასაცემად.

5. კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილებას.

6. ნებართვის მაძიებლის მიერ საკონკურსო განაცხადის ფორმა შეივსოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 27 აგვისტოს N1037 ბრძანებით დამტკიცებული დანართი 3-ის თანახმად.

7. ნებართვის მაძიებელმა სამარშრუტო ხაზზე განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო მაჩვენებლების (მონაცემები მიკროავტობუსების შესახებ) ინფორმაცია წარმოადგინონ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 27 აგვისტოს N1037 ბრძანებით დამტკიცებული დანართი 4-ის თანახმად, ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმით.

8. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა განმეორებით კონკურსში N30 და N56 სამარშრუტო ხაზებზე მონაწილეთა განცხადებების (თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად) მიღება იწარმოებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოოფილებაში 2019 წლის 7 ოქტომბერს, დილის 09:00 სთ-დან საღამოს 18:00 სთ-მდე, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

9. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის“ მე–8 მუხლის შესაბამისად, საკონკურსო კრიტერიუმების მიხედვით M2 კატეგორიის (მიკროავტობუსის) ავტოსატრანსპორტო საშუალებების (N30 და N56 სამარშრუტო ხაზებზე) მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შეფასება მოხდება შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, გოგოლის ქ. N1 (ავტოსადგური „მეტრო“-ს ტერიტორია) 2019 წლის 11 ოქტომბერს, დილის 10:00 სთ-დან საღამოს 17:00 სთ-მდე.

10. ინფორმაცია კონკურსის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „აჭარა“-ში და ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე: www.batumi.ge.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი